

### **Tatverdacht (Verdachtsgrade)**

Der Tatverdacht beschreibt den Grad der Wahrscheinlichkeit, mit dem jemand eine Straftat begangen haben könnte. Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** lassen sich bis zu vier Verdachtsgrade voneinander unterscheiden.

Der geringste Verdachtsgrad ist im **deutschen Strafprozessrecht** der sog. „Anfangsverdacht“. Dieser ist anzunehmen, wenn „zureichende tatsächliche Anhaltspunkte“ (§ 152 Abs. 2 dStPO), d.h. konkrete Tatsachen, dafür vorliegen, dass eine oder mehrere Straftaten begangen wurden. Das Vorliegen eines Anfangsverdachts verpflichtet die Staatsanwaltschaft zur Aufnahme eines förmlichen Ermittlungsverfahrens gegen den Beschuldigten (Legalitätsgrundsatz, siehe § 152 Abs. 2 dStPO). Aufgrund des Legalitätsgrundsatzes sind nach dem **georgischen Strafprozessrecht** der Ermittler, der Staatsanwalt beim Erhalt einer Information über eine Straftat verpflichtet, ein Ermittlungsverfahren einzuleiten (siehe Art. 100 Abs. 1 gStPO).

Auf der zweiten Stufe steht im **deutschen Strafprozessrecht** der sog. „hinreichende Tatverdacht“. Dieser wird angenommen, wenn infolge einer vorläufigen Bewertung der Beweislage eine spätere Verurteilung als wahrscheinlich gilt. Das Vorliegen eines hinreichenden Tatverdachts ist für die Staatsanwaltschaft Voraussetzung für eine Anklageerhebung (§ 170 Abs. 1 dStPO) bzw. einen Strafbefehlsantrag und für das Gericht für die Eröffnung des Hauptverfahrens (§ 203 dStPO). Stellt sich der Tatverdacht hingegen als nicht hinreichend heraus, ist das Ermittlungsverfahren einzustellen (§ 170 Abs. 2 S. 1 dStPO) bzw. das Hauptverfahren nicht zu eröffnen (§ 204 dStPO) oder der Erlass eines Strafbefehls abzulehnen (§ 408 Abs. 2 S. 1 dStPO).

Im **georgischen Strafprozessrecht** steht auf der zweiten Stufe die sog. „begründete Vermutung“. Gemäß Art. 3 Abs. 11 gStPO bedeutet dieser das Vorliegen einer Gesamtheit von Tatsachen oder Informationen, die im Zusammenhang mit den Umständen der konkreten Tat deren Begehung durch den Beschuldigten, aus Sicht eines objektiven Betrachters, als möglich erscheinen lassen. Gemäß Art. 169 gStPO ist das Vorliegen einer begründeten Vermutung Voraussetzung für die Anklageerhebung. Demnach ähnelt dieser Verdachtsgrad in einigen Punkten dem hinreichenden Tatverdacht im **deutschen Strafprozess**. Die begründete Vermutung ist zudem auch eine Voraussetzung für die Anordnung und Vornahme der in der gStPO ausdrücklich vorgesehenen Ermittlungsmaßnahmen sowie für die Anordnung von Sicherungsmaßnahmen (z.B. die Durchsuchung und Einziehung, Art. 119 gStPO).

Einen noch höheren Grad des Tatverdachts stellt im **deutschen Strafprozessrecht** der sog. „dringende Tatverdacht“ dar. Er liegt vor, wenn nach dem gegenwärtigen Stand des Ermittlungsverfahrens eine hohe Wahrscheinlichkeit dafür besteht, dass der Beschuldigte Täter oder Teilnehmer einer Straftat ist. Das Vorliegen eines dringenden Tatverdachts ist in bestimmten Fällen Voraussetzung für die

## Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

Anordnung und Durchführung prozessualer Zwangsmaßnahmen (insbesondere der Untersuchungshaft, § 112 Abs. 1 S. 1 dStPO). Ein solcher erhöhter Verdachtsgrad existiert im **georgischen Recht** nicht, so dass der Verdachtsgrad der „begründeten Vermutung“ als Voraussetzung für die in der gStPO ausdrücklich vorgesehenen Ermittlungshandlungen und Sicherungsmaßnahmen ausreicht.

Indes stellt das **georgische Recht** auf das Kriterium der „hohen Wahrscheinlichkeit der Verurteilung“ ab, wenn es um die Eröffnung des Hauptverfahrens durch das zuständige Gericht geht. Gemäß Art. 3 Abs. 12 gStPO ist von einer entsprechenden hohen Verurteilungswahrscheinlichkeit auszugehen, wenn die im Rahmen des Vorverfahrens vorgelegten Beweise die Anschuldigung konsistent und überzeugend belegen und daher zu diesem Zeitpunkt von einer Verurteilung auszugehen ist. Nach Art. 219 Abs. 5 gStPO, ist die Überführung der Strafsache in die Hauptverhandlung zulässig, wenn der Richter infolge der vorgerichtlichen Sitzung und der durch die Staatsanwaltschaft vorgelegten Beweise von der Annahme überzeugt ist, dass der Beschuldigte die Straftat mit hoher Wahrscheinlichkeit begangen hat.

Die höchste Stufe des Tatverdachts ist in **beiden Rechtsordnungen** diejenige, die für die Verurteilung des Angeklagten erforderlich ist. Das Gericht darf demnach infolge der im Rahmen der Hauptverhandlung durchgeführten Beweisaufnahme keine vernünftigen Zweifel mehr an der Schuld des Angeklagten haben. Im **deutschen Strafprozess** spricht man diesbezüglich auch von „richterlicher Überzeugung“, während dieser Verdachtsgrad in **Georgien** als „[Überzeugung] außerhalb vernünftiger Zweifel“ bezeichnet wird (Art. 3 Abs. 13 gStPO).

Trotz einiger Unterschiede im Detail stellt sich die Kategorisierung des Tatverdachts sowie dessen Bedeutung für das Strafverfahren in **beiden Rechtsordnung** durchaus als vergleichbar dar. (Mpi/Mkh)

### ექვი დანაშაულის ჩადენის შესახებ (ექვის ხარისხი)

დანაშაულის ჩადენის შესახებ ექვი ასახავს ალბათობის იმ ხარისხს, რომლითაც პირს შეეძლო დანაშაულის განხორციელება. როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სამართალში** განასხვავებენ ექვის ოთხ ძირითად ხარისხს.

ექვის ყველაზე დაბალ ხარისხს **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** წარმოადგენს ე.წ. „საწყისი ექვი“. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როცა არსებობს „საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები“ (გსსსკ-ის 152-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი), ანუ კონკრეტული ფაქტები, რომ ჩადენილია ერთი ან რამდენიმე დანაშაული. საწყისი ექვის არსებობა პროკურატურას ავალდებულებს გამოძიების დაწყებას (ლეგალურობის პრინციპი, იხ. გსსსკ-ის 152-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** კანონიერების

## Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

(ლეგალურობის) პრინციპი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელს და პროკურორს ავალდებულებს გამოძიების დაწყებას (იხ. ქსსსკ-ის მე-100 მუხლის 1-ელი ნაწილი).

**გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** მეორე საფეხურზე დგას ე.წ. „საკმარისი ეჭვი“. აქ სახეზეა ისეთი გარემოება, როდესაც მტკიცებულებათა წინასწარი შეფასება იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ამ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. საკმარისი ეჭვის არსებობა პროკურატურისთვის არის პირისთვის ბრალის წაყენების (გსსსკ-ის 170-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი) ან სასამართლო ბრძანების მოთხოვნის საფუძველი, სასამართლოსთვის კი აღნიშნული წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის დაწყების საფუძველს (გსსსკ-ის 203-ე პარაგრაფი). თუკი დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი არ არის საკმარისი, მაშინ გამოძიება უნდა შეწყდეს (გსსსკ-ის 170-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი), შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში არ დაიწყება (გსსსკ-ის 204-ე პარაგრაფი) ანდა მოსამართლე უარს იტყვის ბრძანების გაცემაზე (გსსსკ-ის 408-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადება).

**ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** შემდეგ საფეხურზე დგას ე.წ. „დასაბუთებული ვარაუდი“. ქსსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ქსსსკ-ის 169-ე მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს პირის ბრალდებულად ცნობის წინაპირობას. ამდენად, დანაშაულის ჩადენის აღნიშნული ეჭვის ხარისხი გარკვეული ნიშნებით წააგავს **გერმანულ საპროცესო სამართალში** არსებულ საკმარისი ეჭვის ხარისხს. დასაბუთებული ვარაუდი არის, ასევე, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი (მაგ. ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევაში, ქსსსკ-ის 119-ე მუხლი).

ეჭვის კიდევ უფრო მაღალ საფეხურს **გერმანულ სისხლის საპროცესო სამართალში** წარმოადგენს ე.წ. „გადაუდებელი ეჭვი“. ის სახეზეა მაშინ, როდესაც გამოძიების პროცესში ფორმირდება მაღალი ალბათობა იმისა, რომ ბრალდებული არის დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე. კონკრეტულ შემთხვევებში გადაუდებელი ეჭვის არსებობა წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებების მიღებისა და ჩატარების წინაპირობას (განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობა, გსსსკ-ის 112-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადება). ეჭვის ასეთ ხარისხს არ იცნობს **ქართული სამართალი**, რამდენადაც დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ქსსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისთვის და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის განსაზღვრულ წინაპირობას.

## Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ქართული სისხლის სამართალი უფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის კრიტერიუმად ასახელებს „ალბათობის მაღალ ხარისხს“. ქსსსკ-ის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, ალბათობის მაღალი ხარისხი წარმოადგენს წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტს, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. ქსსსკ-ის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის ყველაზე მაღალ საფეხურს **ორივე სამართლებრივ სისტემაში** წარმოადგენს ის, რომელიც ბრალდებულის მსჯავრდებისათვის არის საჭირო. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს აღარ უნდა ჰქონდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვი. აღნიშნულთან მიმართებაში **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** საუბრობენ „მოსამართლის დარწმუნებაზე“, **ქართულ სამართალში** კი ეჭვის აღნიშნული ხარისხს ეწოდება „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი (ქსსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი).

დეტალებში გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, ეჭვის კატეგორიზაცია და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისთვის **ორივე სამართლებრივ სისტემაში** საკმაოდ შედარებადია. (Mpi/Mkh)